პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 131 (4901)

1973 წ. 5 ივლისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

რესპუბლიკის ახალგაზრდული სპორტული თამაშები

თბილისელთა უპირატესობით

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, ჩატარდა ძიუდოისტთა პირად-გუნდური შეჯიბრება რესპუბლიკის ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, ფოთის, რუსთავის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრები კოლექტივები.

ჭიდაობის მოყვარულთ შეიძლება დაებადოთ კითხვა: რატომ არ მონაწილეობდნენ ტურნირში ახმეტის, კასპის, ლენტეხის, ხაშურის ან თელავის გუნდები, განა მათ ძლიერი მოჭიდავეები არ ჰყავთ? ამ შეკითხვაზე შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ბ. მაზიაშვილმა ასე გვიპასუხა:

„დებულება მხოლოდ ქალაქებს აძლევდა გუნდების გამოყვანის უფლებას. ამიტომ აღნიშნული რაიონები ასპარეზობის მიღმა აღმოჩნდნენ. „ლელოს" ფურცლებზე არაერთხელ გამოითქვა ეჭვი, რომ არ არის სწორი ისეთი ქალაქების გათანაბრება, როგორიც არიან თბილისი და, ვთქვათ, ფოთი. ამის მიზეზით დედაქალაქის ბევრი ძლიერი მოჭიდავე იჩაგრება".

მსაჯთა კოლეგიამ მაინც მონახა გამოსავალი: ჯერ პირად-გუნდური ტურნირი ჩაატარა, ხოლო შემდეგ პირადი ჩემპიონატი (ეს უკანასკნელი საჭირო იყო რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად).

გუნდური საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. გორი. განსაკუთრებით ქების ღირსია აჭარის ძიუდოისტთა კოლექტივი (მწვრთნელები ზ. კანდელაკი და გ. გოგიჩაიშვილი), რომლებმაც გაუსწრეს გორისა და ქუთაისის ძლიერ კოლექტივებს.

პირად პირველობაში ჩემპიონობა მოიპოვეს: ნ. სალთხუციშვილმა, ნ. ხუციშვილმა, ჯ. კბილაშვილმა, თ. ხუბულურმა, გ. ქამხაძემ.

დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (უფროსი მწვრთნელი ა. მარტყოფლიშვილი), რომელიც 12 ივლისს მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდობის საკავშირო სპორტულ თამაშებში (ეს ასპარეზობა გაიმართება გორკში).

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

• • •

როგორც ვთქვით, ამ ტურნირმა გამოავლინა პირად-გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებულნიც (მარცხნიდან): რ. ჭიკაიძე, (მძიმე წონა), მ. იობიძე (ქვემძიმე), ა. ბარკალაევი (საშუალო), ნ. ხუციშვილი (ქვესაშუალო), მ. კენჭაძე (მსუბუქი).

თ. ტერუნაშვილის ფოტო.

„თავზე ხელაღებულნი"

საქართველოს ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საგზატკეცილო ველოსპორტში ამას წინათ გუდაუთაში ჩატარდა. ასპარეზობის პროგრამაში იყო ორი სახეობა — 100 კილომეტრზე გუნდური რბოლა და ამავე დისტანციაზე ჯგუფური შეჯიბრება.

გუნდურ რბოლაში კონკურენტი არ ჰყავდა თბილისის კოლექტივს (ა. ცხოვრებაძე, შ. ჩქარეული, ბ. კილასონია, შ. ჩოქური). თბილისელებმა აქტიურად წარმართეს ბრძოლა, სწორად გაანაწილეს ძალები მთელს დისტანციაზე და ფინიშის ხაზიც ყველაზე ადრე გადაკვეთეს. გამარჯვებული გუნდის დროა 2:24.30,0. II ადგილზე ქუთაისელი ველოსიპედისტები გავიდნენ — 2:30.00,0. მესამე შედეგი აფხაზეთის გუნდმა აჩვენა — 2:34.29,0.

საინტერესო გამოდგა ჯგუფური რბოლა, რომლის ტრასაც გადაშლილი იყო რიწის ტბისკენ მიმავალ რთულ და ლამაზ გზაზე. დისტანციის დიდი ნაწილი ველოსიპედისტებმა ერთ კომპაქტურ ჯგუფად განვლეს. დაახლოებით 60 კილომეტრის შემდეგ მოასპარეზეებს გამოეყო თბილისელი ბ. კილასონია. თავდაპირველად მის ენერგიულ ბიძგს სხვებმა ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ დაწინაურებული თანდათან დასცილდა ველოსიპედისტთა ძირითად ჯგუფს და ბოლოს თვალსაც მიეფარა.

მარტოდმარტო ბრძოლა და ისიც ასეთ რთულ ტრასაზე საკმაოდ ძნელია, მაგრამ კილასონია მომზადებული აღმოჩნდა ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად, ჯგუფი ბრმად მისდევდა მას და, რა თქმა უნდა, არ იყო დარწმუნებული, შეძლებდა თუ არა „დევნილის" დაჭერას. ფინიშამდე 1 კილომეტრით ადრე მოასპარეზეებს გამოეყო კიდევ ერთი „თავზე ხელაღებული", ლიდერის თანაგუნდელი შ. ჩქარეული. მან მართალია, კილასონიას ვერ გაუსწრო, მაგრამ ამ თამამი გადაწყვეტილების წყალობით II ადგილი მოიპოვა.

რბოლა კი ბ. კილასონიამ მოიგო — 2:25.30,0. ჩქარეული სულ ოდნავ ჩამორჩა გამარჯვებულს — 2:25.31,0. III ადგილზე ქუთაისის გუნდის წევრი ო. ქათამაძე გავიდა — 2:26.15,0.

ორი სახეობის ჯამში I ადგილი და საქართველოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონის ტიტული თბილისის ნაკრებმა დაისაკუთრა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისისა და აფხაზეთის წარმომადგენლები.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მწვრთნელები ი. გოცირიძე და ნ. ტრეტიაკოვი), რომელიც 18 ივლისს ტალინში სტარტს აიღებს ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრებაში. რესპუბლიკის ნაკრებში მოხვდნენ: შ. ჩქარეული, ი. ქათამაძე, შ. ჩოქური, ბ. კილასონია, ა. ცხოვრებაძე, ზ. სარაჯიშვილი (ბოლნისი), ნ. ქვანია (აფხაზეთი) და გ. ტოლორაშვილი (რუსთავი).

ც. ფიცხელაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გუდაუთა.

გივი კარტოზიას პრიზზე

6 ივლისს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიო თასის მფლობელ გივი კარტოზიას პრიზზე. პოპულარული ქართველი მოჭიდავის სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. გივი კარტოზია წლების მანძილზე ლირსეული, მაღალტექნიკური და თავდაჭერილი სპორტსმენის ეტალონი იყო. სწორედ მისი ამ თვისებების გამო მისცა სანქცია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) თბილისის ტრადიციულ ტურნირს მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის პრიზზე.

ამ შეჯიბრებამ შედარებით მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა და ავტორიტეტი. მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები ხალისით მონაწილეობენ ტურნირში და ცდილობენ მთავარ პრიზებს დაეპატრონონ. წლევანდელ ასპარეზობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ირანისა და სსრ კავშირის ათლეტები. საბჭოთა კავშირს ამ ტურნირში ხამ-ხამი სპორტსმენი გამოჰყავს ყოველ წონით კატეგორიაში. ცალკე იასპარეზებენ საქართველოს უძლიერესი „კლასიკოსებიც".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბევრი ქვეყანა ამ ტურნირს განიხილავს, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის წინ ძალთა გენერალურ დათვალიერებას. სწორედ ამიტომ მონაწილეობენ თბილისის საერთაშორისო ტურნირში ისეთი სახელმოხვეჭილი ათლეტები, როგორიც არიან მსოფლიო ჩემპიონი ს. დამიანოვიჩი (იუგოსლავია), ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ა. ანგელოვი (ბულგარეთი), მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. რეზანცევი, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ა. ნაზარენკო (ორივე — სსრ კავშირი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. პოპესკუ (რუმინეთი) და სხვა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი დაიწყება 6 ივლისს დღის 12 საათზე და გაგრძელდება საღამოს, 18 საათსა და 30 წუთზე, ასპარეზობის საზეიმო გახსნის შემდეგ. 7 და 8 ივლისს დღის პროგრამა დაიწყება 11, საღამოსი კი 18 საათზე.

როცა გაზეთი იბეჭდებოდა საათი იყო... 19^{45}

◆ ბეტებორგი, 4 ივლისი. აქ გამართულ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში დამთავრდა რაპირისტ ვაჟთა პირველობა. ფინალში 4-4 გამარჯვება და თითო წაგება ჰქონდათ სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტს, კიეველ ი. ჩიჟსა და ცნობილ ფრანგ მუშკეტერს გ. ნოელს. სწორედ მათ შორის გამართულ დამატებითს ბრძოლას უნდა დაესახელებინა ჩემპიონი. ჩიჟი უფრო ახლოს იყო გამარჯვებასთან. ანგარიში დიდხანს თანაბარი იყო, შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა სპორტსმენი — 4:3, მაგრამ ნოელმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა თავის ახალგაზრდა მეტოქეს, რითაც რევანში აიღო ფინალის პირველ შეხვედრაში დამარცხებისთვის. III ადგილი დაიკავა ვ. კამუტიმ (უნგრეთი).

ჰავანა ძალოსნებს ელის

ჰავანა, 3 ივლისი. 15-23 სექტემბერს კუბის დედაქალაქის სპორტის სასახლეში ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. ეს შეჯიბრება ალბათ სარეკორდო იქნება მონაწილე ქვეყნების სიმრავლით. როგორც კუბის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა დავიდ მოიამ თქვა, ორგანიზატორებმა უკვე 42 ქვეყნიდან მიიღეს განაცხადები (დღემდე ყველაზე წარმომადგენლობითი იყო 1969 წლის ჩემპიონატი ვარშავაში, სადაც 36 სახელმწიფოს სპორტსმენები გამოდიოდნენ).

მასპინძლები საკმაოდ ოპტიმისტური თვალით უყურებენ თავიანთი ძალოსნების შანსებს. ეს დაამტკიცა ბულგარეთის გუნდთან გამართულმა ამხანაგურმა მატჩმაც, რომლის დროსაც თავისუფლების კუნძულის ათლეტებმა 19 ეროვნული რეკორდი დაამყარეს.

თასი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა

წყალქვეშ ნადირობა ჩვენში არც ისე დიდი ხნის დანერგილია და საქართველოს ნაკრების (ვ. კოროლიოვი, ბ. ნოვომლინოვი და ვ. ორიოლკინი) წარმატებებიც მით უფრო მისასალმებელია. 1971 წლის საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა შარშან ჩემპიონობა მოიპოვა, ამას წინათ კი სსრ კავშირის თასის პირველ გათამაშებაში იმარჯვა. ეს შეჯიბრება ივნისის დამლევს აფხაზეთში გაიმართა. სარბიელზე თავი მოიყარა 9 გუნდმა (აფხაზეთის ნაკრები უკონკურსოდ გამოდიოდა). სოხუმში პირველი დღე დაეთმო სამჭიდის ორ სახეობას — მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრებას (10 ჩასათვლელი გასროლა) და წყალქვეშ დამაგრებულ სამიზნეებზე სროლას. 15040 ქულით დაწინაურდა საქართველოს ნაკრები. მას კვალში ჩაუდგნენ უკრაინისა და ლატვიის ძლიერი გუნდები (შესაბამისად, 13195 და 12230 ქულა), პირად ჩათვლაში იმარჯვა უკრაინელმა ნ. სიადრისტიმ (5385 ქულა). ორიოლკინი (5250) და ნოვომლინოვი (4910) II და III ადგილებს დასჯერდნენ.

მესამე სახეობა წყალქვეშ ნადირობა იყო. შეჯიბრება მიუსერის უბეში გაიმართა. აქ სპორტსმენები ორ დღეს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და იმარჯვებდა ის, ვინც მეტ თევზს მოიტანდა (თითო თევზი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 400 გრამისა და არაუმეტეს 3 კილოგრამისა). ამ სახეობაში ყველას აჯობა რსფსრ-ის გუნდის წევრმა ვ. ამბემ (8130 ქულა). მისმა წარმატებამ კოლექტივი III ადგილზე გაიყვანა (13910 ქულა). საქართველოს გუნდის წარმომადგენელი კოროლიოვი საბოლოოდ 6948 ქულით (თევზი — 10 კგ 665 გრ) მეორე იყო, რითაც საქართველოს ნაკრებისთვის გუნდური I ადგილი უზრუნველყო (18080 ქულა), ნ. სიადრისტიმ (უკრაინა) III ადგილზე (6736) გადაინაცვლა, ხოლო მისი გუნდი მეორე აღმოჩნდა (15015). აფხაზეთის ნაკრები IV ადგილზეა — 12695 ქულა.

მ. ზაქარეიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

სურათზე: გამარჯვებული გუნდი (მარცხნიდან) — ბ. ნოვომლინოვი, ვ. ორიოლკინი, ა. კოროლიოვი.

ავტორის ფოტოები.

ტურნე დამთავრდა

ირლანდიის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან მატჩით დაამთავრეს თავიანთი ტურნე მსოფლიო ჩემპიონებმა, ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3.

ბრაზილიელებმა 35 დღის განმავლობაში 9 შეხვედრა მოაწყვეს, ექვსი მოიგეს, ორი წააგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენები მეცნიერებისა და ტექნიკის სამსახურში

„სპორტი კეთილშობილების სკოლაა"

ექიმის პროფესია გივი მუხაძეს შემთხვევით არ აურჩევია. ეს განაპირობა გარემომ, რომელშიც ის იზრდებოდა, რისი სიკეთეც ჯერ კიდევ ბავშვობაში შეიცნო, ცხოვრების მიზნად გაიხადა.

გივი სამედიცინო ინსტიტუტში შესვლისთანავე გაიტაცა მეცნიერულმა ძიებამ. ეს აღმზრდელებმაც შენიშნეს და უკვე III კურსის სტუდენტს ნება დართეს რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში პრაქტიკული მუშაობით გაემდიდრებინა თეორიული ცოდნა.

გივი ამ დროს უკვე სახელგანთქმული მოკრივე იყო. რაკი მასში ჰუმანურობა და რაინდობა ერთ ძვირფას ღირსებად გაერთიანდა, სიძნელეების დაძლევაც გაიოლდა. მომავალი ექიმი იმთავითვე ზოგადი ქირურგიით იყო გატაცებული. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც სწორედ ამ განხრით დაიწყო მუშაობა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეორე ქირურგიულ კათედრაზე.

ეს იყო მეცნიერებაში დიდი და სერიოზული გზის დასაწყისი, რომელზეც ახალგაზრდა ქირურგი შესანიშნავმა მეცნიერმა დ. მამამთავრიშვილმა დააყენა.

სწავლულებს ერთი კარგი პრინციპი აქვთ: მიღწეული არასოდეს აკმაყოფილებთ და თავს მოვალედ სთვლიან მეცნიერებაში მანამდე უკვალავი გზით დაიპყრონ ახალი მწვერვალები. ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ გივი მუხაძემ უკვე თორმეტამდე მეცნიერული ნაშრომი შექმნა. პროქტოლოგიაში მეტად აქტუალურ საკითხზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ორიგინალური მკურნალობის ახალ მეთოდებზე მუშაობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

— გივი ჩვენი კოლექტივის სული და გულია, — გვეუბნება გ. მუხაძის მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი ა. ბეთანელი.

— დაწერეთ, — განაგრძობს პროფესორი, — რომ სპორტი კეთილშობილების სკოლაა. ჩვენ ვამაყობთ ამ სკოლის აღზრდილის გივი მუხაძის ღირსებებით. ეს სკოლა ყველამ უნდა გაიაროს, რათა იცოდეს ნამდვილი მეგობრობა, კოლექტივის სიყვარული, იყოს გამტანი და სულგრძელი, ამშვენებდეს შრომისმოყვარეობა და თუ გნებავთ, ცხოვრებაში გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა.

ის ადამიანი, ვის მაგალითზეც ეს სიტყვები ითქვა, სპორტს ერთი წუთითაც არ ივიწყებს. გივი ამბობს: სპორტთან მეგობრობა ადამიანს უადვილებს საკუთარი თავის შეცნობას, ხალისიანად და საინტერესოდ ცხოვრობსო.

თავისუფალ დროს გივი მუდამ მოკრივეებთან ტრიალებს. საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ კრივისა და მედიცინის სპეციალისტი ახალგაზრდა კოლეგებს არა მარტო მეცნიერული დაკვირვებით ეხმარება ოსტატობის ამაღლებაში, არამედ რინგზეც უწევს პარტნიორობას, თუ საჭიროა.

გივისთან ერთად ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წუთი დავყავით მის სამუშაო ობიექტზე, ქალაქის მე-7 კლინიკურ საავადმყოფოში და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, რომ პროფესიის სწორად არჩევაც ერთი დიდი ნიჭია ცხოვრებაში. ადამიანები ხშირად დროს არ უფრთხილდებიან. გივი მუხაძისთვის დრო მხოლოდ ძიებასა და შრომაში გადის. ამიტომაც ძნელია აღინუსხოს, რამდენი ადამიანის სიცოცხლე გაულამაზებია მის ცოდნას და მარჯვენას. ამ მარჯვენას ენდობიან ადამიანები. ექიმისთვის კი ყველაზე ძვირფასი ჯილდოც ეს ნდობა და აღიარებაა.

თ. ბაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: გ. მუხაძე ავადმყოფებთან მორიგი შემოვლის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

1973 * ВСЕСОЮЗНЫЕ

СПОРТИВНЫЕ ИГРЫ МОЛОДЕЖИ

ამჯერადაც პრიზიორთა შორის

ალმა-ატა, 4 ივლისი. როგორც ვიუწყებოდით, ახალგაზრდობის საკავშირო სპორტულ თამაშებში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს „კლასიკოსებმა". მათ დიდი უპირატესობით მოიგეს I ადგილი. „კლასიკოსებმა" ესტაფეტა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს გადასცეს და სარბიელზე მწვავე და შინაარსიანი ბრძოლები გაჩაღდა.

გუშინ ასპარეზობის ბოლოსწინა დღე იყო, მაგრამ ზოგიერთ წონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უკვე დაამთავრეს გამოსვლა. მაგალითად, ცნობილია, რომ ყველაზე მჩატე წონაში (48 კგ), ბ. სულაქველიძემ III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

57 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მ. ქათამაშვილი X ადგილზეა. არ გაუმართლა გამარჯვების მთავარ ფავორიტს 62 კგ წონით კატეგორიაში ი. ლევაშვილს, რომელმაც ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფეხი იტკინა, გუნდის ინტერესებისთვის მან მაინც განაგრძო ბრძოლა, მაგრამ საბოლოო ჯამში VIII ადგილს დასჯერდა. მოულოდნელი იყო ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონ დ. ყვარულაშვილის (68 კგ) V ადგილიც.

მეორე საშუალო წონაში (90 კგ) თ. მეშარნიშვილი X ადგილზე გავიდა. ქვემძიმე წონაში ნ. ცინცაძეს VIII ადგილი აქვს. წარმატებით იასპარეზა მძიმეწონოსანთა ტურნირში ა. ჭუაძემ. მას II საპრიზო ადგილი ხვდა.

გაურკვეველი მდგომარეობაა სამ წონით კატეგორიაში (52,74 და 82), სადაც ჩვენი მოჭიდავეები საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან. 52 კგ წონაში ი. მალალაშვილს ერთ-ერთი საპრიზო ადგილი უზრუნველყოფილი აქვს. ვ. იმერლიშვილი (74 კგ) თითქმის ჩემპიონია. საპატიო ტიტულის მიღებას იგი შეძლებს, ქულებითაც რომ წააგოს ბოლო ბრძოლა (იმერლიშვილი არ უნდა დამარცხდეს წმინდად, თორემ II ადგილზე დარჩება).

უკვე დაამთავრა ასპარეზობა ა. ავსაჯანიშვილმა (82 კგ). ჯერჯერობით იგი II საპრიზო ადგილზეა. ქართველი მოჭიდავე მოუთმენლად ელის თავისი მთავარი მეტოქეების ფინალურ შეხვედრას, რომლის შედეგმაც იგი შეიძლება გაიყვანოს I ადგილზე.

რა მდგომარეობაა გუნდურ ჩათვლაში? რუსეთის ფედერაციის ნაკრებს ფაქტიურად უზრუნველყოფილი აქვს I ადგილი. საქართველოს მოჭიდავეები ტურნირის მასპინძლებთან ერთად II-III საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან. თუ მალალაშვილი და იმერლიშვილი მოიგებენ დარჩენილ შეხვედრებს, საქართველოს ნაკრები II ადგილზე გავა.

ორი ოსეთის მატჩში

ორჯონიკიძეში გაიმართა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩისთვის მასპინძლები უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 140:102 (ქალები — 57:47, ვაჟები — 83:55).

ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა მასპინძელმა ვ. გოლოვანოვმა, რომელმაც ბადრო 57,54 მეტრზე ტყორცნა. სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებმა ცხრა სახეობაში გაიმარჯვეს. მათი უპირატესობა აშკარა იყო შუბის ტყორცნასა და სიგრძეზე ხტომაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ამ სახეობებში პირველობა მოიგეს ვ. გაგლოევამ (40,80), ტ. ზასეევმა (63,40), ვ. ბეპიევამ (526) და ქ. ფუხაევმა (680). ცხინვალელი ე. გათიკოევი პირველი იყო 1500 და 3000 მეტრზე რბენაში.

ვ. ზელქოევი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფიზკულტურის ინსტიტუტის ლაბორატორიებში

სპორტული წვრთნის ერთი ძირითადი პრობლემა

დღევანდელი სპორტული ახალგაზრდობისთვის იოლი მისაწვდომია ის შედეგები, რაც სულ რამდენიმე ხნის უკან რჩეულთა საოცარ მიღწევებად გვეჩვენებოდა. ასეთ წინსვლას რამდენიმე მიზეზი აქვს. როგორც დემოგრაფიული კვლევა გვიჩვენებს, ალბათ გარკვეულ როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად მოსახლეობის ფიზიკური პოტენციაც იზრდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმატა სპორტში მომეცადინეთა რიცხვმა, რაც, თავის მხრივ, უფრო მეტ შესაძლებლობას გვიქმნის საუკეთესოთა შერჩევისთვის.

მაგრამ სპორტული მიღწევების ყოველწლიური ზრდის მთავარი პირობა ეს არ არის. „საიდუმლო" მდგომარეობს სპორტული მზადების მეთოდიკის შეცვლაში, პირველ ყოვლისა კი იმაში, რომ დღეს მწვრთნელთა განკარგულებაშია მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროს უახლესი მიღწევები. დღეს მწვრთნელი, რომელიც ამ მიღწევებს არ იცნობს და ცოდნას არ იღრმავებს, ვერ მოამზადებს მაღალი კლასის სპორტსმენს, რაგინდ ნიჭიერიც უნდა იყოს მისი მოწაფე, რაგინდ მომზადებულიც უნდა იყოს თვით მასწავლებელი.

მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის დღეს სპორტსმენს უნაკლოდ უნდა შეეძლოს ორგანიზმის მთელი ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, გადამწყვეტ მომენტში თავისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების მობილიზება მთავარი მიზნის მისაღწევად.

სწორედ აქ ეხმარება სპორტის მუშაკს მეცნიერება. ამ დახმარებაში იგულისხმება დიეტოლოგიაც, რომელიც ამუშავებს კვების ყველაზე შესაფერ რეჟიმს სპორტის ცალკეული სახეობებისთვის, ფსიქოლოგიაც, რომელიც სწავლობს კავშირს სპორტსმენის თავისებურებებსა და შესაძლებლობებს შორის. დასასრულ, ესაა სპორტის ფიზიოლოგია, რომელიც ადგენს ამა თუ იმ კუნთური ჯგუფის ძალის კომბინაციათა ყველაზე უკეთეს ვარიანტს სპორტული ილეთების გარკვეულ სახეობათა შესრულებისთვის.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს სპორტული პრობლემატიკის კვლევის დიდი გამოცდილება აქვს. ინსტიტუტის კათედრები სამამულო სპორტის აქტუალურ საკითხებზე მუშაობენ. მაგალითად, ფიზიოლოგიის კათედრა, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ს. ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით წლების მანძილზე სწავლობს შრომისუნარიანობის აღდგენის პრობლემას. შ. ჩახნაშვილისა და ა. მელიას მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევით დადგინდა „აქტიური" დასვენების ძირითადი კანონზომიერებანი. აღმოჩნდა, რომ შრომისუნარიანობა გაცილებით სწრაფად აღდგება, თუ დაღლილი კაცი „პასიურად" კი არ ისვენებს, არამედ ამუშავებს იმ კუნთებს, რომელთაც დაღლამდე მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს აღმოჩენა აქტიური დასვენების ფორმით ფართოდ გამოიყენება სპორტის პრაქტიკაში (თ. მაჩაბელი, შ. აზატიანი, გ. გოგინაშვილი), წარმოებაში — ფიზკულტურული პაუზების სახით (შ. ჩახნაშვილი, ს. თედეევი, ზ. კოვზირიძე).

ამ გამოკვლევათა ლოგიკური გაგრძელება იყო ცდები „პასიური" დასვენების დროს აღდგენითი პროცესების შესასწავლად. ბოლო ხანს მთელი მსოფლიოს მკვლევართა ინტერესს იწვევს ორგანიზმის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, როგორიცაა ძილი. თანამედროვე ფსიქონევროლოგიამ ამ მიმართულებით დიდ წარმატებას მიაღწია. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის კლეიტმანის აზრით, XX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში შევა არა ატომის შესაძლებლობათა ამოცნობის წყალობით, არამედ იმით, რომ ამ საუკუნეში დაიწყო ძილის საიდუმლოებათა შესწავლა. მართლაც, ამ სფეროში ჩატარებულმა უკვე პირველივე ცდებმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ჩვენს წარმოდგენაში ძილზე, მის ფუნქციებსა და მნიშვნელობაზე. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ელექტროენცეფალოგრაფიული დახასიათების თვალსაზრისით ღამის ძილი ადამიანისთვის ერთიანი პროცესი არ არის: დღეს შეიძლება გამოიყოს ძილის, სულ ცოტა, ხუთი სხვადასხვა სტადია (ან ფაზა), რომელთაგანაც თითოეულს ტვინის ელექტროგენეზის განსაკუთრებული ტიპი ახასიათებს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სხვადასხვაა თითოეული ამ სტადიის ფუნქციაც, ვინაიდან სხვადასხვა სახის (ფიზიკური ან გონებრივი დაღლილობა, ემოციური დაძაბულობა და ა. შ.) დარღვევათა დროს ძილის ყოველი სტადია თავისებურ ცვლილებებს განიცდის.

აღმოჩენილია უკუდამოკიდებულებაც: ძილის ამა თუ იმ სტადიის დარღვევა ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციის დარღვევას იწვევს. კლინიცისტებისთვის ცნობილია, რომ ბევრი ფსიქიური დაავადება პირველ ყოვლისა ძილის დარღვევის სახით ვლინდება. ამასთან, ღამის ძილის დროს ბევრი დაავადების სიმპტომები ყველაზე მკვეთრად იჩენს თავს. შემჩნეულია, მაგალითად, რომ კორონარული შეტევები იწყება უმეტესად გამთენიისას, ძილის იმ ფაზაში, რომელსაც განსაკუთრებული ფიზიოლოგიური პროცესები ახასიათებს. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ ძილი საფუძვლიანი ბიოლოგიური პროცესია, რომელიც წარმართავს ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის ბევრ (თუ ყველას არა) მხარეს.

ძუძუმწოვრებში ძილის მოთხოვნილება უფრო მკაფიოდაა გამოხატული, ვიდრე კვებისა. ტვინის მექანიზმები, რომელთაც ძილისა და სიფხიზლის კონტროლი აკისრიათ, მტკიცედ დაკავშირებულია ემოციისა და ყურადღების მექანიზმებთან. ამიტომ უკვე ნათელია, რომ ნერვული მოქმედების განსაკუთრებული სახის — ძილის კანონზომიერებათა დაუდგენლად ვერასოდეს გავიგებთ ტვინის ისეთი ფუნქციების ორგანიზაციის კანონზომიერებას, როგორიცაა მეხსიერება და სწავლის უნარი.

ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხეთ ძილის შესწავლასთან დაკავშირებულ პრობლემათა ერთ წრეს. ასეთი პრობლემა უამრავია. ვფიქრობთ, საჭიროა აქ გამოიყოს მათგან ერთი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს სპორტთან: სპორტსმენის ძილის ნორმალიზაციის პრობლემა საპასუხისმგებლო შეჯიბრებების პერიოდში. მართლაც, ამ პერიოდში დაძაბული ფსიქოლოგიური მდგომარეობა სპორტსმენის ძილს არღვევს. შედეგად, ღამის ძილში სპორტსმენი ვერ ისვენებს და შეჯიბრების დაწყებამდე უკვე დაღლილია. პირადი გამოცდილებით ყველასთვის ცნობილია, რომ უძილო ღამის ან ცუდი ძილის გამო ადამიანის შრომისნაყოფიერება მკვეთრად ეცემა. ჩვეულებრივ, ასეთ დროს დასაძინებლად წამლებს მიმართავენ, მაგრამ კვლევით დადასტურებულია, რომ ეს გზა ნაკლებად ეფექტურია. უფრო მეტიც, ეს მავნებელია, ვინაიდან დღეისთვის ცნობილი დასაძინებელი საშუალებები ნორმალური ძილის აღდგენას ვერ უწყობენ ხელს. პირიქით, ეს წამლები არღვევენ ტვინის გაცვლითი პროცესებს, რამაც მისი ნორმალური ფუნქციების აღდგენა უნდა უზრუნველყოს. სპორტის დარგში მომუშავე ბევრი ექიმის მოწმობით სპორტსმენებისთვის ყველაზე პასუხსაგებ მომენტში იქმნება ეგრეთ წოდებული მანკიერი წრე. ფსიქოლოგიური (და ფიზიკური) დაძაბულობით დაქანცულ სპორტსმენს დასვენება უნდა, ცდილობს დაიძინოს, რომ დროებით მაინც გამოეთიშოს მთავარ საზრუნავს, მაგრამ დამშვიდების მაგიერ ღამე კიდევ უფრო აღიზიანებს. დილით ადამიანი კიდევ უფრო დაღლილი დგება. ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე რეკორდი დაიღუპა მარტო ამ მიზეზით!

ფიზკულტურის ინსტიტუტში უკვე შეუდგნენ სპორტსმენის ძილის ნორმალიზაციის საკითხის შესწავლას კვლევის უახლესი ელექტროენცეფალოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობს პროფესორი ს. ნარიკაშვილი. საკითხს იკვლევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-ფსიქონევროლოგი ვ. მალოლეტნევი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-ტრავმატოლოგი ზ. თელია. დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები მოწმობს, რომ ამოცანა წარმატებით გადაიჭრება.

ა. ზეიფარიანი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის, თანამედროვე ხუთჭიდისა და ველოსპორტის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა
IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივლისისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (კოსტრომა)	13	9	2	2	31—16 (21—8)	20
„დინამო" (ვოლოგდა)	13	7	2	4	33—23 (18—10)	16
„მერცხალი" (მახარაძე)	14	7	2	5	37—29 (17—9)	16
„დილა" (გორი)	14	8	0	6	25—19 (22—15)	16
„ზვეზდა" (ტირასპოლი)	13	7	0	6	15—16 (11—11)	14
„კოლხეთი" (ფოთი)	13	5	3	5	35—31 (16—14)	13
„ლოკომოტივი" (კალუგა)	13	6	1	6	25—26 (13—12)	13
„ვოლგა" (გორკი)	13	5	2	6	33—28 (20—17)	12
„გურია" (ლანჩხუთი)	13	5	2	6	32—29 (18—16)	12
„ტორპედო" (ვლადიმირი)	13	5	2	6	28—25 (15—14)	12
„დინამო" (სოხუმი)	13	4	4	5	34—29 (14—14)	12
„ტრუდი" (ვორონეჟი)	14	6	0	8	25—28 (20—20)	12
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	14	5	1	8	29—33 (15—17)	11
„დინამო" (ბათუმი)	14	5	0	9	26—32 (15—16)	10
„სატურნი" (რიბინსკი)	14	3	2	9	28—31 (13—21)	8
„სპარტაკი" (რიაზანი)	12	4	0	8	13—22 (13—22)	8
„დინამო" (ბრიანსკი)	13	3	0	10	19—28 (13—19)	6
„რევტრუდი" (ტამბოვი)	13	3	0	10	11—30 (11—30)	6

პირველი გამარჯვება

პროხლადნაია, 3 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება „სიჭაბუკის" თასზე, რომელშიც მონაწილეობენ რსფსრ-ს, საქართველოს, მოლდავეთის, ესტონეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გუნდები. საქართველოს ნაკრების მწვრთნელები არიან ა. ვარდიაშვილი და ო. ურთქმელიძე.

ჩვენი ფეხბურთელების პირველი მეტოქე იყო მოლდავეთის ნაკრები. საქართველოს გუნდმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარა მატჩი და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ბურთები გაიტანეს ჩახხიანმა, ქუმსიაშვილმა და ტაბატაძემ. კარგად ითამაშეს მეკარე ნიკოლაიშვილმა, აგრეთვე, მუშკუდიანმა და მინაშვილმა.

პირველ ტურში რსფსრ-მ დაამარცხა ესტონეთი — 6:1, ტაჯიკეთმა — ყირგიზეთი — 3:1.

ნ. ამირეჯიბი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მეკარეები ახალი სიძნელეების წინაშე

პენალტი განსაკუთრებული მოვლენაა ფეხბურთში. მისი აღება მეკარისთვის საერთოდ ძალიან ძნელია, ახლა კი, როცა ფრე გაუქმდა საკავშირო გათამაშებებში და მეკარეებს არა ერთი, არამედ უკვე რამდენიმე 11-მეტრიანის წინააღმდეგ უხდებათ ბრძოლა, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა განუზომლად გაიზარდა.

მეკარის წარმატება პენალტის დროს დამოკიდებულია მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ორიენტაციისა და რეაქციის უნარზე, აგრეთვე, მეტოქის მოქმედებათა სწრაფ ანალიზზე. მაგრამ რა მონაცემებიც უნდა ჰქონდეს მეკარეს, ერთი ცხადია: პენალტების მოსაგერიებლად მან სპეციალურად უნდა ივარჯიშოს და ამ წვრთნას სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მეკარის ვარჯიში თავისთავად რთული პროცესია. მოთამაშეები რამდენიმე ბურთით განუწყვეტლივ ურტყამენ კარში, დარტყმა დარტყმას მოსდევს. საჭიროა განუწყვეტელი სწრაფი ნახტომები. ათიოდე წუთში მეკარის სვიტერი ოფლითაა გაჟღენთილი. პატარა შესვენება და, მას კვლავ უხდება თავდამსხმელთა ულმობელი დარტყმების მოგერიება. ასე იყო მუდამ, ახლა კი ერთ მეცადინეობაზე მეკარეს 25-30-ჯერ მეტი ნახტომის გაკეთება მოუხდება, ვიდრე წინათ. ინდივიდუალური ვარჯიში პენალტის აღებისთვის ნორმად უნდა იქცეს და შეიძლება ერთი მეცადინეობის გაცდენაც კი საგრძნობლად დაეტყოს მის საერთო სპორტულ ფორმას.

წინათ მეკარეები გულმოდგინედ სწავლობდნენ ცნობილ პენალტისტთა ხერხებს, ახლა კი 11-მეტრიანს ურტყამს თითქმის ყველა ფეხბურთელი და მეკარეც უნდა შეეცადოს დეტალურად შეისწავლოს ყოველი მათგანის თავისებურებანი. მან ყველაფერი უნდა იცოდეს მოწინააღმდეგეთა შესახებ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა; კარის დარაჯმა საკუთარ შეცდომებსაც უნდა ჰაუკეთოს საფუძვლიანი ანალიზი, ვინაიდან ესეც გარკვეული და მნიშვნელოვანი ვარჯიშია.

გავრცელებულია აზრი, რომ პენალტი თითქმის ასპროცენტიანი გოლია. მეკარემ ეს ამბავი თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს იმ გაგებით, რომ საკუთარი თავი დააჯეროს: თუნდაც ერთი აღებული 11-მეტრიანი თავისებური სპორტული გმირობააო. ამ გმირობისთვის კი მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაფერისი სტიმული.

მახსოვს, რა დაძაბული ვიყავი, როცა ჩემს კარში ურტყამდნენ პენალტს, განსაკუთრებით, თუ ეს ბოლო წუთებზე ხდებოდა. 1941 წელს მინსკის „დინამოში" ვთამაშობდი და მოსკოვში ვხვდებოდით პროფკავშირების პირველ გუნდს. ვიგებდით ანგარიშით 1:0. 89-ე წუთზე ჩვენს კარში დაინიშნა 11-მეტრიანი. ურტყამდა ა. პონომარიოვი. მე შევძელი ამ ბურთის აღება.

ასეთი ორთაბრძოლის შედეგს ბევრი ფაქტორი განაპირობებს და ხშირად იმარჯვებს ის, ვინც უფრო გულდასმით აწონ-დაწონის შექმნილ სიტუაციას, გაითვალისწინებს ამ „დუელის" შანსებს, ვინაიდან რთული ამოცანის წინაშე დგას არა მარტო მეკარე, არამედ დამრტყმელი მოთამაშეც. მანაც დეტალურად უნდა გაითვალისწინოს ყველა წვრილმანი.

რა ამოცანები დგას მეკარის წინაშე? ვის დაევალება პენალტი, რა თავისებურებანი გააჩნია, რომელი ფეხით დაარტყამს და როგორ — მოტყუებით, თუ პირდაპირ და ძლიერად, რომელ კუთხეში წავა ბურთი? ყველაფერი ეს მეკარემ სულ რამდენიმე წამში უნდა გაიაზროს, თორემ შემდეგ უკვე გვიანი იქნება.

ყველა პენალტისტს საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი დარტყმა აქვს. ცდკა-ში თამაშობდა ს. კაპელკინი. იგი პენალტს ბუცის წვერით ურტყამდა. ასეთი დარტყმა სწრაფია, ძლიერი და მოულოდნელი, თუმცა შეიძლება ბურთმა სწორი მიმართულება არ მიიღოს. უფრო ზუსტია, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლები სიძლიერისა, დარტყმა ფეხის შიდა ნაწილით. ასეთი დარტყმის შეუდარებელი ოსტატი იყო ჩვენი განთქმული ფეხბურთელი მ. ბერძენიშვილი. იგი ისეთი ხელოვნებით ნიღბავდა თავის განზრახვას და ბურთის დარტყმის მიმართულებას კორპუსისა და ფეხის ცრუ მოძრაობით, რომ მეკარეებს ხშირად უხდებოდათ ხოლმე ცარიელ კუთხეში გადახტომა.

11-მეტრიანის დამრტყმელმა მოთამაშემ შეიძლება ბურთი კარში გაგზავნოს სრული სიძლიერით, მაგრამ შეიძლება გამოიყენოს მოტყუებაც, ფინტიც, როცა აკეთებს დარტყმის იმიტაციას ერთ მხარეს, ბურთს კი სრულიად საწინააღმდეგო მხარეს გზავნის. არის ასეთი ხერხიც: მოთამაშე ოდნავ წინ უგორებს ბურთს თავის პარტნიორს და ეს უკანასკნელი ურტყამს (ასეთი წესით შეიძლება მხოლოდ თამაშის დროს დანიშნული 11-მეტრიანის დარტყმა).

ვარჯიშისა და თამაშის მსვლელობაში მეკარემ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ის ნიშნები, რომლებიც მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს ბურთის მიმართულება და შეძლოს კარის უვნებელყოფა. ეს ნიშნები ასეთია:

1. დამრტყმელი მოთამაშის კორპუსის მიხედვით: ა) რაც უფრო ახლოსაა დახრილი მისი კორპუსი ბურთზე, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ დარტყმა დაბალი იყოს, და, პირიქით, როცა დამრტყმელის კორპუსი მოცილებულია ბურთს, მით უფრო სავარაუდოა, რომ დარტყმა მაღალი იქნეს; ბ) მაგრამ თუ კორპუსი იმდენადაა უკან გადახრილი, რომ ფეხი ძლივს სწვდება ბურთს, დარტყმა, იქნება დაბალი და ნაკლები სიძლიერისა.

2. დამრტყმელი მოთამაშის საყრდენი ფეხის მდგომარეობისა და ადგილის მიხედვით: ა) როცა დამრტყმელს საყრდენი ფეხი ბურთზე საგრძნობლად წინ დგას, მოსალოდნელია ბურთის დაბალი ფრენი; ზ) თუ საყრდენი ფეხი ბურთს უკან საგრძნობლადაა დაცილებული, უმეტეს შემთხვევაში ბურთი მაღლა წავა; გ) რაც უფრო მეტადაა საყრდენი ფეხის წვერი მიმართული ერთ-ერთ მხარეს, მით უფრო მოსალოდნელია დარტყმა სწორედ ამ მხარეს; დ) რაც უფრო მეტად გადაზნექილია საყრდენი ფეხი გარეთა მხარეს, მით უფრო მოსალოდნელია ბურთი გაემართოს სწორედ საყრდენი ფეხის მხარეს; ე) რაც უფრო მეტადაა საყრდენი ფეხი მოღუნული, მით უფრო მაღალი დარტყმაა სავარაუდო.

მაგრამ მეკარეს უნდა ახსოვდეს, რომ ბურთის მიმართულებას ძირითადად განსაზღვრავს დამრტყმელი ფეხი. თუ იგი ბურთის ძირისკენაა მიმართული, დარტყმა მაღალი იქნება, თუ დამრტყმელი განსაკუთრებულ ძალას არ ხმარობს დარტყმისას და ფეხი ამ დროს მოუდუნებელი აქვს, ბურთის მიმართულება დაბალი იქნება. ამას გარდა, მეკარეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ეგრეთ წოდებული „მოჭრილი" დარტყმები და მაშინ ბურთის მიმართულება მუდამ მოულოდნელია. განსაკუთრებული სიძნელე იმაში მდგომარეობს რომ მეკარემ უნდა განსაზღვროს ბურთის მიმართულება ყველა ამ ზემოჩამოთვლილი ნიშნის ერთობლივი გათვალისწინებით. მან ყველაფერი უნდა გაიანგარიშოს მანამ, სანამ დამრტყმელის ფეხი შეეხება ბურთს, ხოლო თვით დარტყმის მომენტში მეკარე მხოლოდ ბურთს უყურებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეკარემ არ დაკარგოს საკუთარი ძალის რწმენა 11-მეტრიანის დროს. ჩვეულებრივ, მეკარეები ვარჯიშს პენალტების აღებაში იმით ფარგლავენ, რომ მეცადინეობის შემდეგ ამხანაგებს სთხოვენ დაარტყან მოტყუებით და ძლიერად. ეს მეთოდი სწორი არ არის. ჯერ უნდა შესრულდეს 10-15 საშუალო ძალის დარტყმა ერთსა და იმავე დაბალ კუთხეში, ერთი და იმავე ფეხით, გამორბენით და ერთნაირი მდგომარეობიდან. შემდეგ დარტყმები იმავე ფეხით სრულდება საწინააღმდეგო დაბალ მხარეს, ამასთან ცრუ მოძრაობები არ არის საჭირო. პირიქით, დამრტყმელმა ისე უნდა შეასრულოს ყველა მოძრაობა, რომ მეკარემ შეისწავლოს ამა თუ იმ დარტყმის დროს როგორ მიემართება ბურთი კარში. ხოლო სხვაგვარი დარტყმისას რა ცვლილებები ხდება.

ერთი მეცადინეობის პროცესში არაა საჭირო დარტყმათა ხერხებისა და ძალის ცვლა. რაც უფრო ხშირად და ყურადღებით გამეორდება ასეთი მეცადინეობები, მით უფრო ღრმად ჩასწვდება მეკარე პენალტის საიდუმლოებებს. მისთვის ერთობ სასარგებლოა ნახტომისთვის სრულ მზადყოფნაში დაელოდოს დარტყმას, გულდასმით ადევნოს თვალი დამრტყმელის მზადებას, მის მოძრაობას, ფეხის მდგომარეობას და ა. შ.

გამოცდილი მეკარეები თავდამსხმელის განზრახვას ისეთი უმცირესი დეტალებით ხვდებიან ხოლმე, როგორიცაა სახის გამომეტყველება, თვალების მოძრაობა, და, აღარ ყოყმანებენ, და მყისვე მოქმედებენ.

კარგ მეკარეს უპირველეს ყოვლისა ნებისყოფა მტკიცე უნდა ჰქონდეს, თუ ყოყმანობს და ღელავს, იგი გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს საკუთარ თავს და პენალტის აღებაც შეუძლებელია. 11-მეტრიანების მოგერიება რთული ხელოვნებაა და მის ასათვისებლად მეკარეს სერიოზული, სისტემატური, დაკვირვებული ვარჯიში ესაჭიროება.

ა. დოროხოვი,
თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე.

მეოთხე ადგილზე

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ იუგოსლავიის ქალაქ ბიტოლაში გამართული ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის პირველი ორი მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა გდრ-ისა და შვეციის ნაკრებ გუნდებთან ფრედ დაამთავრეს (18:18 და 21:21). შემდეგ მათ სძლიეს რუმინელებს (22:20), იუგოსლაველებთან მატჩი ფრედ დაამთავრეს (17:17), ხოლო გათამაშების ბოლო დღეს დამარცხდნენ უნგრელებთან (19:24). საბჭოთა ნაკრები 5 ქულით IV ადგილს დასჯერდა.

რაც შეეხება იუგოსლავიის თასს, იგი მოიპოვა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო მასპინძელთა ეროვნულ გუნდს (17:16). მასპინძლები II ადგილზე გავიდნენ. III ადგილი წილად ხვდათ უნგრელებს.

თბილისელი ქალიშვილების წარმატება

ახლა, როცა დამთავრდა „ა" კლასის I ჯგუფის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, შესაძლებლობა გვეძლევა მკითხველებს გავაცნოთ გათამაშების საბოლოო ცხრილი. თბილისელმა ხელბურთელებმა ასეთი ტურნირების ისტორიაში პირველად შეძლეს საპატიო II ადგილის მოპოვება. ერთი სიტყვით, წლევანდელი სეზონი თბილისელი ქალიშვილებისთვის იღბლიანი იყო. თუმცა, მარტო იღბალი არაფერს მოგცემს, თუ სათანადო ოსტატობა არა გაქვს. გუნდის მწვრთნელებმა — წარსულში ცნობილმა ხელბურთელებმა გ. მაჭავარიანმა და ლ. კარტოზიამ შეძლეს მონოლითური და შეთამაშებული კოლექტივის შექმნა. და აი, სერიოზული და ბეჯითი მეცადინეობის შემდეგ წარმატებამაც არ დააყოვნა. საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა თბილისის „ბურევესტნიკის" ორი წევრი — ნ. არაბოვა და ლ. დოლიძე ნაკრების კანდიდატებად დაასახელეს.

ქვემოთ გთავაზობთ საბოლოო ცხრილს:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ოსვიტა" (ჩერკასი)	12	9	1	2	19
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	12	8	1	3	17
„კოლოსი" (ბერეგოვო)	12	8	1	3	17
„ცვეტმეტი" (კრასნოიარსკი)	12	7	2	3	16
„შვიესა" (ვილნიუსი)	12	3	1	8	7
„ბურევესტნიკი" (ერევანი)	12	2	1	9	5

თბილისის „ბურევესტნიკმა" ბერეგოვოს „კოლოსს" ბურთების უკეთესი ბალანსით გაასწრო. VII-VIII ადგილები შესაბამისად ალმა-ათის „ბურევესტნიკმა" და ოდესის „ლოკომოტივმა" დაიკავეს. გაისად „ა" კლასის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება რომ შეინარჩუნონ, ამ გუნდებმა შერჩევით ტურნირში უნდა ითამაშონ და უთუოდ I-II ადგილებზე გავიდნენ. ჩერკასის „ოსვიტას" გაისად უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ვიხილავთ.

ლენინგრადში ჩატარდა სსრ კავშირისა და გფრ-ის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი.

სურათზე: უროს ტყორცნაში გამარჯვებული ა. ბონდარჩუკი (სსრ კავშირი) — 74,14 მ. მარჯვნივ — II ადგილზე გასული კ. რიმი (გფრ) — 78,18 მ.

ნ. მაუმენკოვისა და ბ. ჩერვიაკოვის ფოტო (საკდესი).

ლიტვის სსრ. ტრაკაიში, გალვეს ტბაზე, მოეწყო საერთაშორისო რეგატა „ქარვის ნიჩბები", რომელიც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბერლინის საერთაშორისო ფესტივალს მიეძღვნა.

• • •

სურათზე: ოთხადგილიანი მესაჭიანებით შეჯიბრებაში გამარჯვებული მინსკელი სპორტსმენები.

ტ. უებრაუსკასის ფოტო (საკდესი).

თბილისის ახალგაზრდული სპორტული თამაშები

რიგები არ შეივსო

თბილისის ახალგაზრდული თამაშების პროგრამაში 26 სახეობა შედიოდა, შეჯიბრებები კი ოცდაერთში გაიმართა. კალათბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, სასტენდო სროლასა და წყალბურთში ასპარეზობა არ ჩატარებულა სხვადასხვა მიზეზის გამო: სასტენდო სროლაში შეჯიბრება საწვავის უქონლობის გამო ჩაიშალა; წყალბურთში რაიონებში კი არა, მთელს თბილისშიც ერთი ახალგაზრდული გუნდი ძლივს გროვდება; ასევეა ცხენოსნობაშიც; კალათბურთში, როგორც ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტში გვითხრეს, ტურნირის გამართვას აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან იმ დროისთვის ამ სახეობაში უკვე საკავშირო თამაშებიც დამთავრებული იყო.

ჩვენ უკვე გაგაცანით საქალაქო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით 16 სახეობაში დამთავრებული შეჯიბრებების შედეგები. ახლა ვნახოთ, დანარჩენ სახეობებში როგორ გვაქვს საქმე და საერთო გუნდური მაჩვენებლებიც შევაჯამოთ.

აფროსანთა ასპარეზობა ფოთში გაიმართა (დედაქალაქის ყველა საუკეთესო სპორტსმენი მაშინ იქ ვარჯიშობდა). სარბიელზე გამოვიდნენ ორჯონიკიძის, კალინინისა და ლენინის რაიონების წარმომადგენლები. გუნდური ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

აფროსნები „მფრინავი ჰოლანდიელისა“ და „ფინის“ კლასის ნავებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. „მფრინავი ჰოლანდიელით“ ყველას აჯობეს ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა. სპორტის ოსტატობის კანდიდატ ვ. ქიტუაშვილისა და პირველთანრიგოსან თ. კალანდაძის დუეტმა შვიდივე რბოლა მოიგო და ჩემპიონობა უჯარიმოდ მოიპოვა. ამ სპორტსმენთა თანაგუნდელები ო. ტატიშვილი და ზ. ჯანიაშვილი 20,7 საჯარიმო ქულით II ადგილზე არიან. III ადგილი ხვდათ თ. მზარეულაშვილსა და მ. დანელიას (ლენინის რაიონი) — 31,7.

„ფინის“ კლასის ნავებით შეჯიბრებისას სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. ბიგანიშვილმა (ორჯონიკიძის რაიონი) მეორე რბოლაში II ადგილი დაიკავა, მეოთხეში კი III. ექვსი საუკეთესო რბოლის ჯამში მას 3 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, სპორტის ოსტატობის კანდიდატ თ. ლაზარაშვილს (კალინინის რაიონი) 12 საჯარიმო ქულა აქვს. III ადგილზეა ნ. აფხაიძე (ორჯონიკიძის რაიონი) — 33,4.

ტყვიის სროლაში შეჯიბრება კიროვის რაიონის დოსააფის ტირში ჩატარდა. მასპინძლები III ადგილს დასჯერდნენ. გუნდური პირველობა ოქტომბრის რაიონის ნაკრებმა მოიგო. II ადგილზე კალინინის რაიონის სპორტსმენები არიან. აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში დედაქალაქის შვიდი რაიონის წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

მასპინძლებმა განსაკუთრებული წარმატება მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა შეჯიბრებაში მოიპოვეს. ამ ვარჯიშში სამივე საპრიზო ადგილი კიროვის რაიონმა დაისაკუთრა. ა. ჩაჩანიძემ 300 შესაძლებლიდან 295 ქულა მოაგროვა, ლ. დუდკამ — 292, ა. სედელიოვამ — 289.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) შეჯიბრებაში თამაშების ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი ო. კაკაურიძე (კალინინის რაიონი — 278), რომელმაც ასევე ოსტატობის კანდიდატ ა. ხაჩიიანს (ორჯონიკიძის რაიონი) 4 ქულა მოუგო. III ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ვ. ოსიპოვი (ოქტომბრის რაიონი) — 268.

პროგრამის მესამე სახეობა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე 30 გასროლა იყო. სპორტის ოსტატ რ. ჩიკვილაძეს (ლენინის რაიონი — 268) სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. მურადოვმა (ოქტომბრის რაიონი) 6 ქულით აჯობა. III ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ზ. ხარბედია (პირველი მაისის რაიონი) — 262.

ტყვიის სროლა თამაშების პროგრამაში ერთადერთი სახეობა იყო, სადაც პრიზიორებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს.

ბაიდარებითა და კანოეებით მოასპარეზე გუნდების ძალები (სულ სამი კოლექტივი გამოვიდა) აშკარად უთანაბრო იყო. ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა გაცილებით მეტი ქულა (66) მოაგროვეს, ვიდრე კიროვისა (29) და ლენინის (22) რაიონების სპორტსმენებმა ერთად.

შეჯიბრება უნაკლოდ არ ჩატარებულა. პრიზიორთა შორის ისეთ სპორტსმენებს შევხვდით, რომელთა გვარებიც არც ერთი გუნდის განაცხადში არ იყო შეტანილი და პირად ტურნირში მათი დაშვებისთვის არც რაიმე საბუთი არსებობდა. მაგალითად დავასახელოთ ერთადგილიანი კანოეებით 500 მეტრზე რბოლაში II ადგილზე გასული ხეჩუაშვილი (2.46,0), ასევე მეორე პრიზიორი ქალთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით ამავე დისტანციაზე შეჯიბრებაში ვლასოვა (2.43,0).

თამაშების ჩემპიონები გახდნენ: ერთადგილიანი კანოეთი 500 მეტრზე რბოლაში — ს. კალანდარიშვილი (კიროვის რაიონი) — 2.45,0; ერთადგილიანი ბაიდარით 500 მეტრზე შეჯიბრებაში: ქალთა შორის — გ. ბუჯიაშვილი (კიროვის რაიონი) — 2.40,0, ვაჟთა შორის — ნ. მიხაილოვი — 2.25,0, 1000 მ — გ. სოსელია (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი) — 4.50,0. ორადგილიანი ბაიდარებით 500 და 1000 მეტრზე რბოლა მოიგო ორჯონიკიძის რაიონმა — 2.04,0 და 5.09,0.

ხარვეზები არც მშვილდოსანთა შეჯიბრებას აკლდა. იყო შემთხვევები, როცა ერთი რაიონის სპორტსმენები მეორე რაიონის სახელით გამოდიოდნენ.

ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენელთა უპირატესობა აშკარა იყო: ყველა საპრიზო ადგილი მათ გაინაწილეს და უფრო მეტი ქულა (332) მოაგროვეს, ვიდრე ოქტომბრის (34), კალინინის (28), 26 კომისრის (16), კიროვისა და ლენინის (თითო) რაიონების სპორტსმენებმა ერთად. ქალთა პირად შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: დ. რაზმაძე — 1065 ქულა; ნ. გოდერძიშვილი — 868, ნ. გოლუბევა — 820; ვაჟთა შორის — ა. მეძვეიძე — 1051, ნ. პატატიშვილი — 1016, გ. გორდეზიანი — 1004. თუ ვაჟებში სამივე პრიზიორის მაჩვენებლები სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივზე უკეთესია, ქალებში ასეთ შედეგს მხოლოდ გამარჯვებულმა მიაღწია.

ახალგაზრდული თამაშები სასარგებლო ღონისძიებაა, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დედაქალაქის რაიონების ფიზკულტურული კომიტეტებისთვის, სადაც მთელ შტატს მხოლოდ კომიტეტის თავმჯდომარე წარმოადგენს, ასეთი კომპლექსური ღონისძიებისთვის გუნდების დაკომპლექტება ძალიან ძნელია. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბევრ სახეობაში ყველა რაიონმა ვერ მიიღო მონაწილეობა. 21 სახეობაში თამაშებმა დედაქალაქის მაღალთანრიგოსანთა რიგები ვერ შეავსო. რეკორდებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საერთო კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებულმა ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებმა 2036 ქულა მოაგროვა, მეორე პრიზიორმა, პირველი მაისის კოლექტივმა 867,5. III ადგილზეა კალინინის რაიონის გუნდი — 701,5. როგორც ხედავთ პრიზიორთა შორისაც კი ძალები აშკარად უთანაბროა. ეს მიუთითებს რომ ახალგაზრდობას შორის სპორტი ყველა რაიონში ერთნაირად არ არის დანერგილი.

რ. მაღრაძე.

დებიუტანტი ფინალში

იყო დრო, როცა საბჭოთა კავშირის რაპირით მოფარიკავე ვაჟთაგან რამდენიმე ერთდროულად იკაფავდა გზას ფინალისკენ. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ეს კარგი ტრადიცია მოიშალა. მაგალითად, მიუნხენის ოლიმპიადის ფინალში მხოლოდ ვ. დენისოვმა იასპარეზა და V ადგილს დასჯერდა, თუმცა შეჯიბრების დებიუტანტისთვის ეს შედეგიც საამაყო იყო. იგივე სურათი განმეორდა შვეციის ქალაქ გეტებორგში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ფინალში დებიუტანტი ი. ჩიჟი გავიდა. ბრძოლას გამოეთიშნენ გამობრძმედილი მუშკეტერები ვ. სტანკოვიჩი, ა. კოტიშევი, ვ. დენისოვი და დებიუტანტი ს. ისაკოვი.

ჩიჟი კარგა ხანია ცდილობს „მზის ქვეშ“ ადგილის მოპოვებას. რამდენიმე წლის განმავლობაში მას ბევრჯერ მიეცა ქვეყნის რჩეულთა ნაკრებში მოხვედრის შანსი, მაგრამ ეტყობა, ფსიქოლოგიურად სათანადოდ არ იყო მომზადებული. ჩიჟი გახლავთ კარგი ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენი, რომელსაც მხარს უმაგრებს მდიდარი ტექნიკური არსენალი, ტაქტიკური აზროვნება. მის აღზრდა-დაოსტატებას კარგა ხანია ხელმძღვანელობს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ვ. არკადიევი. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩიჟი ცაციაა და, ამდენად, ყველასთვის უხერხული მეტოქეც არის.

შეჯიბრებაში ჩაებნენ ხმლით მოფარიკავეები. წინასწარ შეხვედრებშივე დაყარა ფარ-ხმალი დებიუტანტმა ვ. პავლენკომ. ნახევარფინალში იბრძვიან ვ. სიდიაკი, ე. ვინოკუროვი, ვ. ნაზლიმოვი და ვ. კროვოპუსკოვი.

მხოლოდ მეტრეველი

უიმბლდონის ტურნირის ერთეულთა მეოთხედფინალური მატჩი მოსკოველმა ო. მოროზოვამ წააგო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან, ავსტრალიელ მ. კორტთან — 4:6, 6:4, 1:6. მოროზოვამ და ინგლისელმა ვ. უეიდმა ქალთა წყვილების მეოთხედფინალური შეხვედრა დათმეს ავსტრალიელებთან ი. გულაგონგთან და ჯ. იანგთან — 7:9, 4:6.

ვაჟთა წყვილების თანრიგის მეოთხედფინალურ მატჩში თბილისელ ა. მეტრეველსა და ბაქოელ ს. ლიხაჩოვს დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელებთან ფასბენდერთან და მიდლერთან დიდი ბრძოლა გადახდათ. გაიმარჯვეს დასავლეთ გერმანიის სპორტსმენებმა — 4:6, 9:8, 8:9, 6:3, 14:12!

ერთეულთა თანრიგში I ადგილისთვის საბჭოთა ჩოგბურთელებიდან მხოლოდ მეტრეველი აგრძელებს ბრძოლას. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება აშშ-ს ახალგაზრდა ჩოგბურთელი ჯიმ კონორსი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ბელიცა: „მე ვამბობ სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს“...

იუგოსლაველ ჟურნალისტს დ. ბელიცას კარგად იცნობს საჭადრაკო სამყარო. 1958 წლიდან იგი ჭადრაკის ისტორიისთვის ყველა მნიშვნელოვან ტურნირსა და მატჩს ესწრებოდა. ბელიცა იყო ლენინგრადის საზონათშორისო ტურნირზეც.

გთავაზობთ ერთ-ერთი ლენინგრადელი ჟურნალისტის საუბარს ბელიცასთან მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერთან მისი ურთიერთობის თაობაზე.

● **რამდენადაც ცნობილია, თქვენ და ფიშერი დიდხანს მეგობრობდით, მერე რატომღაც დაშორდით ერთმანეთს.**

— მართალია, დიდი ხნის მანძილზე მიმოწერა გვქონდა, შეჯიბრებებზეც ვხვდებოდით ერთმანეთს, ერთად ვმუშაობდით წიგნზე, ტელევიზიითაც გამოვდიოდით.

1967 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „დიდოსტატები ახლოდან“. სხვათა შორის იგი სამჯერ დაისტამბა, ახლა კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურ ენაზეც გამოდის. რამდენიმე თავი საბჭოთა ყოველკვირეულმა „64“-მა დაბეჭდა, რითაც დიდი პატივი დამდო. ამ წიგნის ერთი თავი ფიშერს ეძღვნება.

მეორე ჩემი წიგნი მთლიანად ფიშერს მივუძღვენი. მე დავწერე მისი ცხოვრების შესახებ, დიდოსტატმა პეტრე ტრიფუნოვიჩმა ფიშერის რამდენიმე პარტია გაარჩია. შემდგომ ამ ორი წიგნის მასალების მიხედვით ბელგრადის ახალგაზრდულ გაზეთში ფიშერზე ოთხი დიდი სტატია გამოვაქვეყნე.

ფიშერმა განაცხადა, ეს პუბლიკაციები მე მეკუთვნისო და ჰონორარიც მოითხოვა. ზაგრების სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მისი მოთხოვნა, თუმცა მორალური კომპენსაციის სახით გადაწყვიტა ფიშერისთვის გადაეხადა 600 დინარი და არა 4 ათასი, როგორც ამერიკელი მოითხოვდა.

ეს იყო 1970 წელს. ამ დროიდან ჩვენი ურთიერთობაც დაირღვა, ზიგენის ოლიმპიადის დროს, მალიორკაზე საზონათშორისო ტურნირის დღეებში ბობი, უბრალოდ, „ვერ მამჩნევდა“, მხოლოდ რეიკიავიკში მომესალმა, პირველად ორი წლის მანძილზე.

● **ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თქვენ მსოფლიო ჩემპიონის ცხოვრებით და შემოქმედებით აღარ დაინტერესდებით?**

— რა თქმა უნდა, არა. მალე გამოვა ჩემი ახალი წიგნი, რომელშიც მოყვანილია საბჭოთა კავშირ — მსოფლიოს ნაკრების მატჩში გათამაშებული ყველა პარტია. წიგნში შესულია, აგრეთვე, ამ შეჯიბრების შემდეგ გამართული ბლიცტურნირის განსაკუთრებით საინტერესო პარტიები ფიშერის კომენტარებით. სხვათა შორის, მაშინ მე და ბობიმ ბელგრადის ტელევიზიის გადაცემებში მივიღეთ მონაწილეობა. იგი მოითხოვდა, რომ საუბრის დროს შეკითხვები წინასწარ მოუმზადებლად მიმეცა. ვფიქრობ, რომ ახლა ფიშერი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ასეთ პირობებში მუშაობაზე.

● **დაწვრილებით ხომ არ შეგიძლიათ გვიამბოთ ამ გადაცემების შესახებ?**

— სიამოვნებით. ამ ათი ტელეგადაცემიდან ყველა რომელიმე გამოჩენილ მოჭადრაკეს ეძღვნებოდა.

● **ვინ შეადგინა „ათეული“?**

— ფიშერმა.

● **ვინ იყო ის ათი მოჭადრაკე?**

— მორფი, სტეინიცი, კაპაბლანკა, ბოტვინიკი, პეტროსიანი, ტალი, სპასკი, ლარსენი, რეშევსკი და გლიგორიჩი.

● **რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია შეადგინოს „თავისი“ ათეული. მაგრამ არიან ჭადრაკის გენიოსები, აბსოლუტურად აღიარებულნი. მაგალითად, ლასკერი, ალიოხინი... რატომ უარყოფს მათ ფიშერი?**

— ამ თემაზე მე და ბობიმ ვიდავეთ, მაგრამ შეუძლებელია იგი რამეში დაარწმუნო.

● **ხომ არ გახსოვთ, როგორ შეაფასა ფიშერმა ოთხი საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონი?**

— ყველა ძალიან აქო. მან დაწვრილებით მიამბო, როგორ შეხვდა ტალს პირველად პორტოროჟის საზონათშორისო ტურნირში, ბოტვინიკს 1962 წლის ოლიმპიადაში, მიამბო სპასკისთან შეხვედრებზე.

● **თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, მომავალშიც აპირებთ ფიშერის შესწავლას?**

— რეიკიავიკის მატჩის შემდეგ მოვამზადე წიგნი, რომელშიც თავმოყრილია დოკუმენტური მასალები, მათ შორის ფიშერის წერილები და განცხადებები შეჯიბრების ორგანიზაციისა და ჩატარების თაობაზე, აგრეთვე 100 ფოტოსურათი. სურათების ნაწილი ამერიკელმა ბიზნესმენმა ფოქსმა გადმომცა, დანარჩენი თავად გადავიღე ფარული კამერით.

ამ წიგნის სასიგნალო ცალი ფიშერს გადავუგზავნე და მოუთმენლად ველი მის პასუხს. ერთი ეგზემპლარი ლენინგრადში ტალს ჩამოვუტანე საჩუქრად.

გადაწყვეტილი მაქვს 1974 წელს დავამთავრო წიგნი „ჩემი მეგობარი რობერტ ფიშერი“. ვფიქრობ მასში შევიტანო ბევრი წერილი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონისგან მაქვს მიღებული.

● **მათს რიცხვში ალბათ ბოლო ხანს მოწერილებიც იქნება.**

— რეიკიავიკის შემდეგ ფიშერისგან წერილი არ მიმიღია.

● **რას ფიქრობთ, როგორ წარიმართება ფიშერთან თქვენი შემდგომი ურთიერთობა?**

— მე ფიშერის სარეკლამო აგენტი არა ვარ, ვარ ჟურნალისტი, რომელსაც გარკვეული მოვალეობა აქვს დაკისრებული მკითხველი აუდიტორიის წინაშე და ამიტომ ყველა ვითარებაში ვამბობ სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვას არაფერს, სიმართლის გარდა.

ახალი ამბები-73

● **ბელგრადი**, 3 ივლისი. იუგოსლავიის დედაქალაქში მიმდინარე ველოსიპედისტთა საერთაშორისო ასპარეზობაში 4 ეტაპის შემდეგ ლიდერობს ფრანგი ჟ. ქელელიე. II ადგილზეა საბჭოთა მრბოლელი ა. კრასკოვი. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან სსრ კავშირის წარმომადგენლები — 27:34.32. II ადგილზე — ფრანგები — 27:39.39, III კი მასპინძლები — 27:40.16.

● **სტოკჰოლმი**, 3 ივლისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ამერიკელმა დ. სტოუნსმა გადალახა 224 სანტიმეტრზე გადებული თამასა. გამარჯვებულის თანამემამულე თ. ხმითის შედეგია 221 სმ. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში კენიელმა ბ. ჯიპჩომ შეუტია მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ამაოდ. მისი შედეგია 8.52,0. 110 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო რ. მილბერნი (აშშ) — 13,4.

● **მოსკოვი**, 3 ივლისი. დამთავრდა ხუთჭიდელთა საკავშირო ჩემპიონატი. გაიმარჯვა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, ლვოველმა პ. ლედნიოვმა — 5210. ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ვ. შმელიოვმა (მოსკოვის ოლქი) — 5051, ბრინჯაოსი — ს. ლუკიანენკომ (მოსკოვი) — 4825.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და სახანძრო გამოყენებითი სპორტის ფედერაცია

8-10 ივლისს

ბათუმში, „დინამოს“ სტადიონზე, აწყობენ საქართველოს ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ნაკრები გუნდების პირად-გუნდურ შეჯიბრებას სახანძრო-გამოყენებითს სპორტში.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, გორის, აგრეთვე, მახარაძის, სამტრედიის, ზესტაფონის, ახალციხის, ზუგდიდის, თელავის რაიონების ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ნაკრები გუნდები.

პროგრამაშია: საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეორე და მესამე სართულებზე ფანჯარაში გადასვლა, დაბრკოლებათა 80- და 100-მეტრიანი ზოლის გადალახვა, სახანძრო ესტაფეტა (5×80 მეტრზე) ადვილად წვადი სითხის ქრობით; საბრძოლო გაშლა „მ-600“ მოტოტუმბოდან წყლის მიწოდებით.

დასაწყისი 10 ს.